შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ მომსახურებით სარგებლობის პირობები

ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე პირობები არეგულირებს მომხმარებლების მიერ შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ მომსახურებით სარგებლობის წესებსა და პირობებს.
2. მომხმარებლისთვის წინამდებარე პირობები ძალაში შედის მას შემდეგ როდესაც:

ა) მომხმარებელი განაცხადით (მათ შორის ბარათის რეგისტრაციის) ან/და კანონმდებლობით ნებადართული ან/და შპს უნივერსალ ქარდ კორპორეიშენისთვის მისაღები სხვა, მათ შორის სატელეფონო ცენტრის, სერვის ცენტრის ან ნებისმიერი ელექტრონული არხის (სმს, ვებ გვერდი (მათ შორის ვებ გვერდის ონლაინ ჩატი, აპლიკაცია) საშუალებით, ელექტრონული ფორმით (მათ შორის ღილაკის დაჭერით, „თანხმობის ველის მონიშვნით, ერთჯერადი კოდის კარნახით, და ა.შ.) დაადასტურებს თანხმობას პირობებზე;

ბ) დაგროვების ტიპის საბარათე ოპერაციის განხორციელებით, რა დროსაც მომხმარებელი თავისი ქმედებით ეთანხმება წინამდებარე პირობებს რაც ადასტურებს მის (მომხმარებლის) ნებას და ითვლება მომხმარებლის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების / ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

3. წინამდებარე პირობები (მათ შორის წინამდებარე პირობების ნებისმიერი დანართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომხმარებლის განაცხადთან ერთად წარმოადგენს შპს უნივერსალ ქარდ კორპორეიშენსა და მომხმარებელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას.

1. **ტერმინთა განმარტება**
1.1. **კომპანია/უნიქარდი** - ბარათის ემიტენტი შპს უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ"/უნიქარდი ადგილსამყოფლით თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი # 71, მე-3 სართული, ს.კ. 202461406; ვებგვერდი - www.unicard.ge; საინფორმაციო/სატელეფონო ცენტრის ტელეფონის ნომერი - (+995 32) 2 555 222; ელ ფოსტა info@unicard.ge, რომელიც ამ ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს უნიქარდის სერვისებს და წარმოადგენს ლოიალობის პროგრამის პროვაიდერ კომპანიას.
1.2. **ბარათის მფლობელი/მომხმარებელი** - ფიზიკური პირი, რომელიც სარგებლობს უნიქარდის ბარათით წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;
1.3**. მესამე პირი** - ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული პირი, ინდივიდუალური მეწარმე, ან/და სხვა ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს უნიქარდის პარტნიორ კომპანიას, გარდა მხარეებისა;
1.4. **პარტნიორი კომპანია/მოვაჭრე (გამყიდველი)** - შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“-ის ხელშემკვრელი მხარე(ები), ინდივიდუალური მეწარმე ან/და იურიდიული პირი, რომლებიც ჩართული არიან უნიქარდის ლოიალობის პროგრამაში და ქულების დაგროვების/დახარჯვის ან/და ფასდაკლების განხორციელების მიზნით ბარათის მფლობელის ნების შესაბამისად ახორციელებენ საბარათე ოპერაციებს მათ შორის იყენებენ უნიქარდის კატალოგს და კომპანიის სხვა შესაძლებლობებს ნივთის/მომსახურების /ვაუჩერის რეალიზაციისათვის და სრულად პასუხისმგებლები არიან „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე. პარტნიორი კომპანია შესაძლოა ასევე არ იყოს შპს“ უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ ხელშემკვრელი მხარე.
1.5**. პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტები:** პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტები, მათ შორის პარტნიორი კომპანიის ელექტრონული კომერციის არხები და სხვა ნებისმიერი არხი, საიდანაც შესაძლებელია განხორციელებულ შენაძენზე ქულების დაგროვება ან/და ქულების განაღდება ან/და ფასდაკლებით სარგებლობა.
1.6**. ფეი უნიქარდი** - უნიქარდის სტრატეგიული პარტნიორი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი შპს ფეი უნიქარდი ს.კ 404519455, მის თბილისი, ვაჟა ფშაველას 71, მე-3 სართული;
1.7. **უნიქარდის ლოიალობის პროგრამა –** უნიქარდის ლოიალობის, დაგროვებითი, მომხმარებლების წამახალისებელი პროგრამა, რომლის ფარგლებში მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს უნიქარდის სერვისებით.
1.8. **უნიქარდის სერვისები (მომსახურება)** - აქვს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული მნიშვნელობა;
1.9. **ქულა (უნიქარდის ქულა)** - არაფულადი საავანსო ერთეული, რომელიც ბარათის მფლობელს უგროვდება უნიქარდის ლოიალობის პროგრამის ფარგლებში კომპანიაში გახსნილ ქულების ანგარიშზე - პარტნიორ კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათის გამოყენებით განხორციელებული შესყიდვის ან სხვა ქმედებისას, რომელიც წინასწარ განსაზღვრულია კომპანიის მიერ;
1.10. **უნიქარდის ქულების განაღდება (ქულების გახარჯვა)** –რეგისტრირებული უნიქარდის ბარათის მფლობელის მიერ დაგროვებული ქულების ნივთზე/მომსახურებაზე/ვაუჩერზე გადაცვლა იმ შესატყვისი რაოდენობის ქულების პროპორციულად, რაც ერთპიროვნულად განსაზღვრულია კომპანიის მიერ;
1.11. **ხელშეკრულება** -წინამდებარე ხელშეკრულება და არსებობის შემთხვევაში მისი დანართები: ვებ გვერდით სარგებლობის პირობები და პერსონალური მონაცემთა დამუშავების /კონფიდენციალურობის პოლიტიკა, (მათ შორის სპეციფიკური დანართები) განაცხადი, ხელშეკრულების ნებისმიერი შემდგომი ცვლილება დამატება, მათ შორის ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია ან გაფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე /ფარგლებში.

ვაჟა ფშაველას გამზ. N71, თბილისი 0186, საქართველო
+99532 2 555 222
info@unicard.ge

1.12. **სპეციფიკური დანართ(ებ)ი** - კატალოგში განთავსებული ნივთები/ მომსახურება/ვაუჩერი ინდივიდუალური პირობებით, ასევე დისტანციური მომსახურების არხებში განთავსებული ინფორმაცია ქულების დაგროვებისა და ფასდაკლებით სარგებლობის შესახებ წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების სპეციფიკურ დანართებს.

1.13. **განაცხადი** – უნიქარდის ლოიალობის, დაგროვებით პროგრამაში ჩართვის შესახებ განაცხადი, რომლითაც მომხმარებელი უერთდება/ადასტურებს წინამდებარე ხელშეკრულებას;

1.14. **კატალოგი** - კომპანიის მიერ პერიოდულად განახლებადი ბეჭდური ან/და ელექტრონულ არხებში განთავსებული ელექტრონული კატალოგი, რომელშიც განთავსებულია პარტნიორი კომპანიის ნივთი/ მომსახურება/ ვაუჩერი.

1.15. **დისტანციური მომსახურების არხი** – უნიქარდის **ვებგვერდი** -www.unicard.ge და **მობილური აპლიკაცია**, უნიქარდის სტრატეგიული პარტნიორის ფეი უნიქარდის ვებ გვერდი https://payunicard.ge/და აპლიკაცია.

1.16. **დისტანციური კომუნიკაციის არხი/საშუალება** - კომპანიის სოციალური ქსელები, სატელეფონო ცენტრი და დისტანციური მომსახურების არხები.

1.17 **ბარათის რეგისტრაცია** - ბარათის მფლობელის ნების შესაბამისად უნიქარდის სერვისებით სრულყოფილად სარგებლობის (მათ შორის ფასდაკლებით სარგებლობის, დაგროვებული ქულების გახარჯვის) მიზნით, უნიქარდის მონაცემთა ბაზაში ბარათის მომხმარებლის სახელზე რეგისტრაცია.

1.18. **ბარათი** - კომპანიის მიერ ემიტირებული უნიქარდის პლასტიკური (ფიზიკური) ან/და კომპანიის მიერ ელექტრონული არხებით ემიტირებული, ელექტრონული სახის ვირტუალური ბარათი, მათ შორის ქო ბრენდ ბარათი ფასდაკლებით სარგებლობის, ქულების განაღდებისა და აღრიცხვისათვის. ბარათი (მათ შორის ვირტუალური ბარათი და ქო ბრენდ ბარათი) ემიტირებულია, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ბარათი და განიმარტება შემდეგნაირად:

ა) **ძირითადი ბარათი** - წარმოადგენს ძირითადი ბარათის ანგარიშზე ქულების დაგროვებისა და დაგროვებული ქულების გამოყენების საშუალებას. მხოლოდ ძირითადი ბარათის მფლობელია უფლებამოსილი ბარათის რეგისტრაციის შემდეგ ისარგებლოს უნიქარდის სერვისებით შეუზღუდავად.

ბ) **დამატებითი ბარათი** - მოქმედებს ძირითად ბარათთან ერთად, და წარმოადგენს ძირითადი ბარათის ანგარიშზე მხოლოდ ქულების დაგროვების, აღრიცხვისა და ფასდაკლებით სარგებლობის ინსტრუმენტს;

1.19. **ქო ბრენდ ბარათი** - ერთსა და იმავე ფიზიკურ ან ვირტუალურ ბარათზე უნიქარდის ბრენდის/ფუნქციონალის არსებობა, უნიქარდის პარტნიორი კომპანიების, მათ შორის ფეი უნიქარდის ან სხვა მესამე პირთა ბრენდებთან და ფუნქციონალთან ერთად. ასეთი ტიპის ბარათზე შესაძლოა განთავსებული იქნას, როგორც უნიქარდის ასევე მეორე მხარის (ფეი უნიქარდი/პარტნიორი კომპანია/მესამე პირი) სასაქონლო ნიშნები და საფირმო სახელწოდება;

1.20. **ამონაწერი** – კომპანიის მიერ ფორმირებული ამონაწერი უნიქარდის ბარათის ანგარიშიდან, რომელიც ასახავს უნიქარდის ანგარიშზე განხორციელებულ საბარათე ოპერაციებს დროის გარკვეულ მონაკვეთში;

1.21. **საბარათე ოპერაცია** - ქულების აღრიცხვის, კერძოდ დაგროვების ან/და დახარჯვის (განაღდების) პროცესი;

1.22. **ბარათის დაბლოკვა** - ბარათის გამოყენებით და ბარათის გამოყენების გარეშე ქულების განაღდების განხორციელების აკრძალვა;

1.23. **ანგარიში/ძირითადი ბარათის ანგარიში** - ბარათის მფლობელისათვის კომპანიაში გახსნილი ძირითადი ბარათის ანგარიში, რომელზეც აისახება/აღირიცხება ძირითადი და დამატებითი ბარათებით განხორციელებული საბარათე ოპერაციები; ძირითადი ანგარიშის სტატუსებია:

ა)**აქტიური ანგარიში** - ბარათის ანგარიში, რომელზეც სისტემატურად ხორციელდება უნიქარდის საბარათე ოპერაციები. აქტიური ანგარიში მოქმედებს უვადოდ;

ბ) **პასიური ანგარიში** - ბარათის ანგარიში, რომელზეც, დაგროვების ან განაღდების ტიპის საბარათე ოპერაციები არ განხორციელებულა ბარათის მფლობელის მიერ ბოლო საბარათე ოპერაციიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში;

1.24. **დახურული ანგარიში** – ბარათის ანგარიში, სადანაც უნიქარდის სერვისებით სარგებლობა არ ხორციელდება;

1.25. **ერთჯერადი კოდი** - დისტანციური კომუნიკაციისა და მომსახურების არხების საშუალებით ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციისა და უსაფრთხოების მიზნებისთვის სამ წუთიანი მოქმედების მქონე ერთჯერადი კოდი, რომელიც ბარათის მფლობელს კომპანიისაგან ეგზავნება კომპანიაში დარეგისტრირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) სახით;

1.26. **შეკვეთის უნიკალური კოდი** - კოდი, რომელიც გენერირდება კატალოგში განთავსებული ნივთის, მომსახურების ან ვაუჩერის შეკვეთისას და გამოიყენება, როგორც უნიკალური იდენტიფიკატორი ნივთის/მომსახურების /ვაუჩერის გაცემისას;

1.27. **საეჭვო ოპერაცია** - საბარათე ოპერაცია, რომელიც კონკრეტული შემთხვევ(ებ)ისა და გარემოებ(ებ)ის შეფასების შედეგად ემიტენტის ან/და პარტნიორი კომპანიის მიერ შესაძლოა ჩაითვალოს არალეგიტიმურად.

1.28. **ფასდათმობა/ფასდაკლება** - რეგისტრირებული უნიქარდის ბარათის მფლობელის მიერ ზოგიერთ პარტნიორ კომპანიაში უნიქარდის საბარათე ოპერაციის განხორციელებისას ფასდათმობით სარგებლობა, ფასდათმობის თანხა ან/და პროცენტი პარტნიორი კომპანიების მიხედვით განთავსებულია ვებ გვერდზე.

1.29. **პირდაპირი მარკეტინგი** - ფოსტის, სატელეფონო ზარების, მოკლე ტექტური შეტყობინებების (სმს), ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის,მომსახურების შეთავაზება ბარათის მფლობელისათვის.

1.30. **ელექტრონული (ელ)კომერციის არხები:** – უნიქარდის ვებ გვერდი და აპლიკაცია, პარტნიორი კომპანიების ელექტრონული მაღაზიები/ვებ გვერდები ან/და აპლიკაცია მათ შორის სტრატეგიული პარტნიორის შპს ფეი უნიქარდის ვებ გვერდი და აპლიკაცია, საიდანაც შესაძლებელია უნიქარდის საბარათე ოპერაციის განხორციელება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. უნიქარდის ლოიალობის დაგროვებითი პროგრამის ფარგლებში კომპანია ახორციელებს ბარათის მფლობელთა მომსახურებას, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სერვისებით:

2.1.1. მომხმარებლების ბარათებით უზრუნველყოფა;

2.1.2. სავაჭრო მომსახურების ობიექტებში, განხორციელებულ დანახარჯზე უნიქარდის ქულების დარიცხვა;

2.1.3. მომხმარებლ(ებ)ის მოთხოვნით ქულების განაღდება;

2.1.4. უნიქარდის მიერ დადგენილი წესით მომხმარებლების ფასდაკლებით უზრუნველყოფა იმ სავაჭრო, მომსახურების ობიექტებში, რაც განთავსებულია დისტანციური კომუნიკაციის არხებში.

2.1.5. საბარათე ოპერაციების შესახებ დეტალური ამონაწერის ხელმისაწვდომობა;

2.1.6. კატალოგის ხელმისაწვდომობა, შეკვეთის მიღება-გაუქმება, შეკვეთის დადასტურება, შეკვეთილი ნივთის გადაცემა ან გადაცემის ორგანიზება.

2.1.7. პირდაპირი მარკეტინგი;

2.1.8. აქცია კამპანიების მოწყობა და მომხმარებლებისათვის დამატებითი ბენეფიტების შეთავაზება;

2.1.9. უნიქარდის ბარათის მომსახურებასთან დაკავშირებული შემდეგი სერვისები: მომხმარებლების განცხადებებისა და საჩივრების განხილვა, ბარათის დაბლოკვა/განბლოკვის მომსახურება, ბარათის რეგისტრაცია, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება, ქულების გადატანა და სხვა.

3. მომსახურების ზოგადი პირობები

3.1. ბარათი ემიტირებულია კომპანიის მიერ, განუსაზღვრელი ვადით და წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას;

3.2. ბარათი არ არის საბანკო, ფინანსური სადებეტო ან საკრედიტო სტატუსის მატარებელი;

3.3. ძირითადი ბარათის, მფლობელი შესაძლებელია იყოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი 18 წლის ასაკიდან, ხოლო დამატებითი ბარათის მფლობელი ფიზიკური პირი 12 წლის ასაკიდან;

3.4.მომხმარებელი უფლებამოსილია მიიღოს უნიქარდის ძირითადი ან დამატებითი ბარათი. უნიქარდის 1 (ერთ) ძირითად ბარათთან ერთად შეიძლება გაიცეს 4 (ოთხი) დამატებითი და იმავე რაოდენობის ვირტუალური ბარათ(ებ)ი; დამატებითი სტატუსის ბარათები მოქმედებენ შეზღუდული პირობით, რაც მოიცავს მხოლოდ ქულების დაგროვების შესაძლებლობას/უფლებას ძირითადი ბარათის მფლობელისათვის, ძირითადი ბარათის ანგარიშზე.

3.5. ძირითადი ბარათის მფლობელი უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი და ამ შემთხვევაში ვალდებულია გააცნოს მათ დამატებითი ბარათის შეზღუდული პირობის შესახებ, რაც მოცემულია 3.4. პუნქტში.

3.6. უნიქარდის ბარათი შესაძლოა **ქობრენდირებული** იქნას შპს ფეი უნიქარდის საგადახდო ბარათებთან ან/და ერთობლივად ბრენდირებული იქნას უნიქარდის რომელიმე პარტნიორ კომპანიასთან/მესამე პირებთან. ასეთ შემთხვევაში უნიქარდის ლოიალობის პროგრამა უნიქარდის ფუნქციონალის ნაწილზე მოქმედებს სტანდარტულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.7. **ქო ბრენდ** ბარათის შემთხვევაში კომპანია პასუხისმგებელია მხოლოდ უნიქარდის ფუნქციონალის ნაწილზე;

3.8. უნიქარდის ძირითადი ან დამატებითი ბარათის ნებისმიერი სახით გასხვისება (გაყიდვა, გაჩუქება, თხოვება და სხვა) ან მოთხოვნის უზრუნველყოფის სახით გამოყენება არ არის ნებადართული;

3.9. ბარათების გადაფორმება ან ძირითადი ან დამატებითი ბარათის სტატუსის ცვლილება (დამატებითი ბარათის ძირითად ბარათად დარეგისტრირება და პირიქით) დასაშვებია მხოლოდ კომპანიის მიერ მოთხოვნილი შესაბამისი დოკუმენტების მიღების შემთხვევაში, შემდეგ რომელიმე პირზე:

ა) რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე,

ბ) მშობელი (დედა, მამა),

გ) სრულწლოვანი შვილი.

3.10. თუ ძირითადი და დამატებითი ბარათის მფლობელი არის ერთი და იმავე პირი ან/და დამატებითი ბარათი არ არის რეგისტრირებული შესაძლებელია განხორციელდეს სტატუსის ცვლილება დისტანციურად სატელეფონო ცენტრის მეშვეობით, კომპანიის შიდა იდენტიფიკაციის პროცედურის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

3.11. ძირითადი ან დამატებითი ბარათის მფლობელი, ბარათის დაკარგვის ან/და პაროლის (password) გამჟღავნების/პაროლის შესაძლო გამჟღავნების შემთხვევაში ქულების არასანქცირებული გახარჯვის ან სხვა შედეგების თავიდან არიდების მიზნით, ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ განახორციელოს შემდეგი:

ა) **დაბლოკოს ბარათი** კომპანიის ვებ გვერდიდან www.unicard.ge ნებისმიერ დროს ან

ბ)**დაბლოკოს ბარათი** კომპანიასთან დაკავშირების გზით საინფორმაციო/სატელეფონო ცენტრის (+995 32) 2 555 222, ან ელ ფოსტის info@unicard.ge ან უნიქარდის მომსახურების ცენტრების საშუალებით.

3.12.კომპანია დაუყოვნებლივ განახორციელებს ბარათის დაბლოკვას ასეთი ინფორმაციის ბარათის მფლობელისგან მიღებისთანავე, ამასთანავე კომპანია პასუხს არ აგებს შეტყობინების მიღებამდე ბარათის მფლობელისათვის დამდგარ ზიანზე/ზარალზე.

3.13. გარდა 3.11. პუნქტით განსაზღვრულისა კომპანია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით დაბლოკოს ბარათი საეჭვო ოპერაციის, უსაფრთხოების დაცვის, არასანქცირებული გახარჯვის არიდების ან/და სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ ასეთი გარემოებების შესახებ გახდება ცნობილი.
3.14. დაზიანებული ბარათის შეცვლა ან დაკარგული ბარათის აღდგენა დასაშვებია კომპანიის სერვის ცენტრებიდან ან კომპანიის სატელეფონო ცენტრის მეშვეობით იდენტიფიკაციის გავლის შემთხვევაში. შეცვლა/აღდგენა ხორციელდება უფასოდ.
3.15. მომხმარებელთა შორის უნიქარდის ბარათების ერთმანეთში გაცვლის ან ნებისმიერი მიზეზით ერთმანეთში არევის შემთხვევაში, გაცვლა/არევის შედეგად ბარათების არასანქცირებული გამოყენებით დამდგარ შედეგებზე კომპანია პასუხს არ აგებს;
3.16. პარტნიორი კომპანიის მიერ გამოცხადებული ფასდაკლების, ან სხვაგვარი აქციის გამო ამავე პარტნიორ კომპანიაში უნიქარდის საბარათე ოპერაციების შეჩერების, ან ქულების დარიცხვის შემცირების გამო კომპანია არ აგებს პასუხს;
3.17. კომპანია უფლებამოსილია ტექნიკური შეფერხებისას ან ფორს-მაჟორული გარემოებისას დროებით შეაჩეროს მომსახურება ასეთი გარემოების აღმოფხვრამდე;

4. ბარათის რეგისტრაცია, შეზღუდვები

4.1. მხოლოდ რეგისტრირებული ბარათის მფლობელია უფლებამოსილი შეუზღუდავად ისარგებლოს უნიქარდის სერვისებით, თუ ბარათი არ არის დაბლოკილი ან/და ადგილი არ აქვს საეჭვო ოპერაციას.
4.2. დაურეგისტრირებელი ბარათიდან შესაძლებელია მხოლოდ ქულების დაგროვება.
4.3. ბარათის რეგისტრაცია ხორციელდება კომპანიის სერვის ცენტრებიდან, სატელეფონო ცენტრიდან (+995 32) 2 555222, ან/და დისტანციური მომსახურების არხებიდან;
4.4. დისტანციური მომსახურების არხებში ბარათის რეგისტრაციის გავლის პროცესში ბარათის მფლობელი უფლებამოსილია ერთჯერადი კოდის მეშვეობით გახსნას პირადი გვერდი.
4.5. თუ მომხმარებელს უნიქარდის ბარათი მიღებული აქვს კომპანიის რომელიმე გავრცელების არხიდან განაცხადის შევსების/ხელმოწერის გარეშე, მონაცემთა რეგისტრაციის პროცესში მომხმარებლის კორექტული იდენტიფიკაციის მიზნით მოთხოვნილი იქნება ქულების დაგროვების რიგით ბოლო ჩატარებული ოპერაციის დეტალები (დრო, ადგილი, სავაჭრო მომსახურების ობიექტი, თანხა ან/და სხვა დეტალები);
4.6. ბარათის რეგისტრაციის პროცესში მომხმარებელი ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და სავალდებულოა კომპანიას მიაწოდოს შემდეგი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი,ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, ასევე ინფორმაცია უკანასკნელად განხორციელებული საბარათე ოპერაციების შესახებ (იმ შემთხვევაში თუ სარგებლობდა დაურეგისტრირებელი ბარათით). კომპანიისთვის აღნიშნული მონაცემების მიუწოდებლობის შემთხვევაში კომპანია ცალსახად უფლებამოსილია უარი განუცხადოს მომხმარებელს ბარათის რეგისტრაციაზე
4.7. გარდა 4.5. პუნქტით განსაზღვრულისა მომხმარებელი ნებაყოფლობით, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით უფლებამოსილია მიწოდოს კომპანიას ინფორმაცია ინტერესთა სფეროების, სქესის, შემოსავლების შესახებ და ა.შ.
4.8. რეგისტრაციის პროცესში კომპანიისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე სრულად პასუხისმგებელია მომხმარებელი;
4.9. მომხმარებლის მიერ ბარათის რეგისტრაციისას კომპანიისთვის მიწოდებულ პერსონალურ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ არაუგვიანეს ცვლილებიდან 3 დღის ვადაში უნდა ეცნობოს კომპანიას
4.10. კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს მომხმარებლების შესახებ მონაცემთა განახლება თუ მომხმარებლ(ებ)ისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარია, არასრულია ან/და არაზუსტია;
4.11. ბარათის რეგისტრაციისას კომპანიისთვის მცდარი მონაცემების მიწოდების ან მომხმარებლის მიერ 4.9. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში დამდგარ ნებისმიერ შედეგზე, მათ შორის მიუღებელ ფასდაკლებაზე, დაგროვებული ქულების არასანქცირებულ გახარჯვაზე მესამე პირების მიერ ან/და სხვა გარემოებების დადგომისას, კომპანია პასუხს არ აგებს.
4.12. დაუშვებელია ბარათის რეგისტრაციისას სხვა პირის მონაცემების მითითება, რაზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.
4.13. ბარათის მფლობელი ვალდებულია პირადი პასუხისმგებლობით დაიცვას ბარათით სარგებლობის უსაფრთხოების ნორმები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პირობებით:
ა) არ გადასცეს მესამე პირ(ებ)ს და უსაფრთხოდ შეინახოს უნიქარდის ბარათი, მობილური აპლიკაციის პინ კოდი, მომხმარებლისთვის მინიჭებული სახელი და პაროლი (username, password), უსაფრთხოების ერთჯერადი კოდი, შეკვეთის უნიკალური კოდი და სხვა მონაცემი, რომლის გამჟღავნება მომხმარებლისთვის შესაძლოა იყოს ზიანის მომტანი;
ბ) არ დატოვოს მობილური აპლიკაცია ან ვებ გვერდის პირადი პროფილი გახსნილ მდგომარეობაში;

5. ქულების დაგროვება

5.1. ქულების დაგროვების და აღრიცხვის მიზნებისათვის უნიქარდის როგორც ძირითადი, და დამატებითი ბარათ(ებ)ი ემიტირებულია „აქტიური “სტატუსით, შესაბამისად ბარათის მფლობელის მიერ ქულების დაგროვება შესაძლებელია ბარათის მიღებისთანავე;
5.2. პარტნიორი კომპანიის სავაჭრო მომსახურების ობიექტები, სადაც შეიძლება ქულების დაგროვება განთავსებულია ვებ გვერდზე.
5.3. ქულების დაგროვება ხორციელდება უნიქარდის ძირითადი ბარათის ანგარიშზე,

5.4. ნივთის/მომსახურების შესყიდვის განხორციელებისას, ბარათის მფლობელი წარუდგენს ბარათს ანგარიშსწორების განმახორციელებელ პირს (მოლარე, ოპერატორი ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი პირი). ანგარიშსწორების განმახორციელებელი პირი გაატარებს ბარათს შესაბამის აპარატურულ მოწყობილობაში პარტნიორ კომპანიაში არსებული წესის შესაბამისად;
5.5. ელექტრონული კომერციის არხებით ქულების დაგროვების მიზნით ბარათის მფლობელი რეგისტრაციის ან გადახდის პროცესში მიუთითებს ბარათის ნომერს და/ან მომხმარებლის სახელსა და პაროლს;
5.6. **ქო ბრენდ ბარათზე,** უნიქარდის ფუნქციონალის ნაწილში ქულების დაგროვება შესაძლოა განხორციელდეს ავტომატურად, ამავე ბარათის მეორე ბრენდის ფუნქციონალის გამოყენებით განხორციელებულ გარკვეულ ოპერაციებზე;
5.7. ბარათის მფლობელის ანგარიშზე დაგროვებული ქულების აღრიცხვა ხდება მყისიერად, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, მათ შორის და არა მხოლოდ თუ ადგილი აქვს დისტანციური მომსახურების არხებიდან ონლაინ შოპინგით (online shopping) შესყიდვების განხორციელებას, ასეთ შემთხვევაში ქულების დაგროვება ხორციელდება ამავე პროდუქტის (online shopping) პირობების შესაბამისად, რაც განთავსებულია დისტანციური მომსახურების არხებში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარტნიორი კომპანია გადასცემს უნიქარდს ინფორმაციას განხორციელებული საბარათე ოპერაციის შესახებ;
5.8. ქულების დაგროვებისა და ფასდაკლების ოდენობა სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს, რაც განთავსდება დისტანციური მომსახურების არხებში;
5.9. პარტნიორი კომპანიის მიერ ბარათის მფლობელისათვის რაიმე პირობის დათქმა არ ნიშნავს, რომ ეს პირობა დათქმულია კომპანიის მიერ, შესაბამისად კომპანია პასუხს არ აგებს ამგვარ პირობაზე;
5.10. კომპანია უფლებამოსილია მის მიერ განსაზღვრული ოდენობითა და პერიოდულობით ბარათის მფლობელს დაარიცხოს ქულები, თუ ის დააკმაყოფილებს კომპანიის მიერ რაიმე წინასწარდათქმულ პირობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5.11. ბარათის მფლობელებისთვის ამონაწერი ან /და კონკრეტულად დაგროვებული ქულების ოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოთხოვნისთანავე სატელეფონო ცენტრიდან, სერვის ცენტრიდან, ვებ გვერდიდან, აპლიკაციიდან, ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების (მხოლოდ ქულების დაგროვება) საშუალებით;
5.12. თუ ბარათის მფლობელი არ ეთანხმება ქულათა რაოდენობას, იგი უფლებამოსილია საბარათე ოპერაციის განხორციელებიდან ორი კვირის განმავლობაში მიმართოს კომპანიას და წარადგინოს შესაბამისი ქვითრები, კორექტირების მიზნით. აღნიშნულ ვადაში ამავე პუნქტში აღნიშნული მოქმედების განუხორციელებლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მომხმარებელი ეთანხმება დარიცხული ქულების რაოდენობას (დუმილი ჩაითვლება თანხმობად) და ერთმევა უფლება წარადგინოს პრეტენზია.

6. ქულები არ დაგროვდება

- თუ ბარათი არ იქნება წარდგენილი სავაჭრო მომსახურების ობიექტში შესყიდვის განხორციელებისას;
- ტექნიკური ან/და სხვა შეფერხების არსებობის გამო არ განხორციელდება საბარათე ოპერაცია (ტრანზაქცია);
- თუ ბარათის ნომერი არ იქნება ან არასწორად იქნება მითითებული ელექტრონული კომერციის არხებში, შესყიდვის განხორციელებამდე;
- აქცია კამპანიების, ფესტივალების, ღონისძიებების მოწყობისას კომპანიის ან/და პარტნიორი კომპანი(ებ)ის მიერ წინასწარდათქმული პირობ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბარათის მფლობელის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- აქცია კამპანიების, ან/და პარტნიორი კომპანიის მიერ გამოცხადებული ფასდაკლებ(ებ)ის პერიოდში პარტნიორი კომპანიის მიერ ქულების დაგროვების დროებითი შეჩერების შემთხვევაში;
- საეჭვო ოპერაციის დაფიქსირების შემთხვევაში;
- იმ სავაჭრო მომსახურების ობიექტებში, სადაც კომპანიასა და პარტნიორ კომპანიას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა (შეწყვეტის მომენტამდე დაგროვებული ქულების ოდენობა რჩება უცვლელი);
- დაზიანებული ბარათით საბარათე ოპერაციის განხორციელებისას;
- ტექნიკური შეფერხების, პროგრამული განახლების ან/და ფორს მაჟორული გარემოებების არსებობისას.

7. ქულების განაღდება (დახარჯვა)

7.1.დაგროვებული ქულების ნივთზე/მომსახურებაზე/ვაუჩერზე გადაცვლა ხორციელდება იმ შესატყვისი რაოდენობის ქულების პროპორციულად, რაც ერთპიროვნულად განსაზღვრულია კომპანიის მიერ;
7.2. ქულების განაღდება/გამოყენება შესაძლებელია:

- კომპანიის მიმდინარე კატალოგიდან;
- ელექტრონული კომერციის არხებიდან;
- პარტნიორი კომპანიის სავაჭრო მომსახურების ობიექტებიდან;

7.3. ქულების განაღდებისას ძირითადი ბარათის მფლობელის ანგარიშზე დაგროვებული ქულების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კატალოგში ან პარტნიორ კომპანიასთან ნივთის/მომსახურების ქულებში განსაზღვრულ/მითითებულ ღირებულებას.;

ვაჟა ფშაველას გამზ. N71, თბილისი 0186, საქართველო
+99532 2 555 222
info@unicard.ge

7.4 ქულების ადგილზე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებშივე გამოყენების მიზნით სავალდებულოა მოლარისათვის რეგისტრირებულ მობილურ ტელეფონზე მოსული უსაფრთხოების ოთხნიშნა კოდის წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი ქულებს ვერ გაანაღდებს.
7.5. ქულების განაღდების ოპერაციის განხორციელების შემდეგ ძირითადი ბარათის მფლობელი მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას (ტრანზაქციის დადასტურების შესახებ) უნიქარდის სისტემაში რეგისტრირებულ მობილურ ტელეფონზე. თუ მომხმარებელი არ ეთანხმება განხორციელებულ საბარათე ოპერაციას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს უნიქარდის საინფორმაციო/სატელეფონო და/ან მომსახურების ცენტრს კონკრეტული ტრანზაქციის სტატუსის გასარკვევად;
7.6 კონკრეტული ნივთის / მომსახურების/ვაუჩერის პირობები პარტნიორი კომპანიის მიერ დადგენილია ინდივიდუალურად. დეტალური ინფორმაცია განთავსებულია კატალოგში.
7.7. პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტები, ან ელექტრონული კომერციის ობიექტები, სადაც პირდაპირ არის შესაძლებელი ქულების გამოყენება შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს. ინფორმაცია ასეთი ობიექტების შესახებ განთავსებულია კომპანიის დისტანციური მომსახურების არხებში.
7.8. სავაჭრო მომსახურების ობიექტებში, სადაც შესაძლებელია ადგილზე და ელექტრონული კომერციის არხებიდან უნიქარდის საბარათე ოპერაციის განხორციელებისას ბარათის მფლობელის მიერ დაგროვებული ქულები ფულად ერთეულში შესაძლოა განსხვავებულად დაკონვერტირდეს. ინფორმაცია ქულების ფულად ერთეულზე ეკვივალენტობის შესახებ ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ გვერდზე/აპლიკაციაში, საინფორმაციო/სატელეფონო ან მომსახურების ცენტრებში, სავაჭრო ობიექტის მოლარესთან ბარათის წარდგენისა და საკონტროლო შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ;
7.9. ქულების განაღდების(გახარჯვის) მიზნით ზოგიერთ პარტნიორ კომპანიაში ან მესამე პირთან უნიქარდის მიერ შესაძლოა განისაზღვროს გარკვეული წინაპირობები რომელთა წარმატებით შესრულების შემთხვევაში განხორციელდება ქულების განაღდება. ასეთი პარტნიორი კომპანიები, სადაც ქულების განაღდებისთვის ცალკეული პირობებია დასაკმაყოფილებელი განთავსებულია დისტანციური მომსახურების არხებში ან/და სარეკლამო მასალებში.
7.10. მომხმარებლის მიერ დაგროვებული ქულების სანაცვლოდ ფულადი თანხის მოთხოვნა/გაცემა არ არის დაშვებული.

8. დაგროვებული ქულების ჩამოწერა

8.1 ქულები ჩამოიწერება:

ა. კატალოგში განთავსებული პარტნიორი კომპანიის ნივთის/ მომსახურების/ვაუჩერის მიღებისას, ამავე ნივთის/მომსახურების/ვაუჩერის შესატყვისი ქულების რაოდენობის შესაბამისად;
ბ. პარტნიორ კომპანიებში ადგილზე ქულების გამოყენებისას ნივთის ღირებულების ეკვივალენტური ქულების შესაბამისად;
გ. ქულების დაგროვების პროცესში შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში;
დ. ქულების დაგროვების პროცესში საეჭვო ოპერაციის დაფიქსირებისას;
ე. ბარათის მფლობელის ან პარტნიორი კომპანიის მიერ იმ შესყიდვის ოპერაციის გაუქმებისას (მაგალითად შესყიდული საქონლის დაბრუნება და სხვა), რომელიც წარმოადგენდა ქულების დაგროვების საფუძველს;
ვ. ბარათის მფლობელის ან პარტნიორი კომპანიის მიერ იმ გადახდის ოპერაციის გაუქმებისას, რომელიც წარმოადგენდა ქულების დაგროვების საფუძველს. (აღნიშნული პუნქტი ვრცელდება ელექტრონული კომერციის პარტნიორ კომპანიებზე, რომლებიც ეწევიან დისტანციურ საგადახდო მომსახურებას (მაგალითად შპს „ფეი უნიქარდი “და ფეი უნიქარდის საგადახდო პროექტი დასახელებით „უპერა “და სხვა);
ზ. ძირითადი ბარათის მფლობელის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში, წინამდებარე პირობების 9.6. პუნქტის შესაბამისად;
თ. პასიური ანგარიშიდან, რომელზეც დაგროვების ტიპის საბარათე ოპერაციები არ წარმოებულა ძირითადი და/ან დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ უკანასკნელად/ზოლოს განხორციელებული დაგროვების/გახარჯვის ტიპის საბარათე ოპერაციიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში;
ი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

8.2 მომხმარებელთა ინფორმირებულობის მიზნით მოსალოდნელი ქულების ჩამოწერის შესახებ ინფორმაცია კომპანიის მიერ შესაძლოა განთავსდეს ვებ გვერდზე ან/და აპლიკაციაში ან გაეგზავნოთ ინდივიდუალურად მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით რეგისტრირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

8.3. კომპანია უფლებას იტოვებს პასიურ ანგარიშთან დაკავშირებით ინდივიდუალურად განიხილოს მომხმარებლის განაცხადი/პრეტენზია.

ვაჟა ფშაველას გამზ. N71, თბილისი 0186, საქართველო
+99532 2 555 222
info@unicard.ge

9. ნივთის/მომსახურების /ვაუჩერის მიღების პირობები, პასუხისმგებლობის ფარგლები

9.1. უნიქარდის კატალოგიდან შეკვეთილი ნივთის მიღება შესაძლებელია, კომპანიის მიერ სპეციფიკურ დანართში მოცემული პირობებით, რომელიმე შემდეგი არხის საშუალებით:

ა) უნიქარდის მომსახურების ცენტრებიდან
ბ) კომპანიის ბაზაში რეგისტრირებული ან ნივთის შეკვეთისას მითითებული მისამართზე;
გ) პარტნიორი კომპანიის ობიექტებში, შეკვეთის კოდის წარდგენისას, რომელიც გაეგზავნება ძირითადი ბარათის მფლობელს რეგისტრირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.
9.2.პარტნიორი კომპანიისგან მოწოდებული ნივთის/მომსახურების ვაუჩერის ინდივიდუალური პირობები განთავსებულია კატალოგში (ამ ხელშეკრულების სპეციფიკურ დანართში), ხოლო პარტნიორ კომპანიებში, სადაც ადგილზევე შესაძლებელია ქულების განაღდება, ნივთის/მომსახურების პირობები განსაზღვრულია პარტნიორი კომპანიის მიერ და ხელმისაწვდომია ადგილზევე იმავე პარტნიორი კომპანიის სავაჭრო მომსახურების ობიექტში, სადაც მომხმარებელი ახორციელებს ქულების გამოყენებას.
9.3. კატალოგიდან ნივთის/ მომსახურების/ვაუჩერის გაცემა შესაძლებელია კომპანიის მიერ მათი ხელმისაწვდომობის დადასტურებისა და ძირითადი ბარათის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და შეკვეთის უნიკალური კოდის წარდგენის შემთხვევაში.
9.4. ძირითადი ბარათის მფლობელის მიერ კატალოგიდან ნივთის/მომსახურების/ვაუჩერის შეკვეთის განთავსების მომენტში გაეგზავნება შეკვეთის უნიკალური კოდი, რომელიც განკუთვნილია შეკვეთის იდენტიფიცირებისა და ბარათის მფლობელის მიერ შეკვეთილი ნივთის/მომსახურების/ვაუჩერის მიღებისათვის.
9.5. კატალოგიდან შეკვეთილი ნივთი/ვაუჩერი გადაეცემა ან/და მომსახურება გაეწევა ძირითადი ბარათის მფლობელს, ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კატალოგში განთავსებულ ნივთზე ან მომსახურებაზე განსაზღვრულია კონკრეტული პირობა), რის შემდეგაც ბარათის მფლობელის ანგარიშიდან ჩამოიწერება დაბლოკილი ქულების ეკვივალენტი;
9.6 თუ ბარათის მფლობელის მიერ ნივთის/მომსახურების შეკვეთის დადასტურებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში არ განხორციელდა მათი მიღება, ან თუ კომპანიის მიერ განსაზღვრულია შეკვეთის ბარათის მფლობელის მიერ მითითებულ მისამართზე მიტანა და ბარათის მფლობელის მიერ მითითებულ მისამართზე ვერ განხორციელდა მათი ჩაბარება, კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად გაუქმოს შეკვეთა და ბარათის მფლობელს შეკვეთის ფარგლებში დაბლოკილი ქულებიდან დაუკავოს/ჩამოაწეროს საჯარიმო 10 (ათი) ქულა, ხოლო სხვაობა დაუბრუნოს ანგარიშზე. საჯარიმო ქულების დაკავება არ განხორციელდება თუ სპეციფიკურ დანართში (ელექტრონულ კატალოგში) ამ პუნქტისაგან განსხვავებული პირობა არ იქნება კონკრეტულად განსაზღვრული. სპეციფიკური დანართის პირობას ენიჭება უპირატესობა ამ პუნქტის პირველ ნაწილში მოცემულ პირობასთან მიმართებაში;
9.7. კატალოგში განთავსებული მომსახურების შეთავაზება ან ნივთის/ ვაუჩერის მარაგი ბარათის მფლობელის მიერ შეკვეთის განთავსების მომენტისათვის შესაძლებელია ამოწურული იყოს. ასეთ შემთხვევაში ბარათის მფლობელი ცალსახად უფლებამოსილია გაუქმოს შეკვეთა რის შემდგომაც დაბლოკილი ქულები მომხმარებელს უბრუნდება ანგარიშზე.
9.8. თუ კატალოგში შერჩეული ნივთის გადაცემა მოხდა ბარათის მფლობელის მიერ მითითებულ მისამართზე ნებისმიერი მესამე პირისათვის, ჩაითვლება რომ იგი გადაეცა ძირითადი ბარათის მფლობელს;
9.9. ზოგიერთ ნივთსა/მომსახურებაზე/ვაუჩერზე (მაგალითად ფასდაკლების ვაუჩერების შემთხვევაში და სხვა) შესატყვისი რაოდენობის ქულების გარდა, შესაძლოა მომხმარებლის მიერ საჭირო იყოს ანგარიშსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უშუალოდ პარტნიორი კომპანიისთვის, რაც განიმარტება უშუალოდ სპეციფიკურ დანართში (კატალოგში).
9.10. ბეჭდურ კატალოგში ან სხვა ბეჭდურ გამოცემაში მითითებულ ინფორმაციასა და დისტანციური მომსახურების არხებში განთავსებულ ინფორმაციას შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება დისტანციური მომსახურების არხებში განთავსებულ მონაცემებს;
9.11. ყველა პრეტენზია ნივთზე/მომსახურებაზე/ვაუჩერზე (მათ შორის კომუნალური მომსახურების მიმწოდებლების გადახდებზე) წარედგინება პარტნიორ კომპანიას/მოვაჭრეს. უნიქარდს არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა როგორც კატალოგში განთავსებული, ასევე პარტნიორი კომპანიების სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ადგილზე არსებულ ნივთებთან, ასევე ამავე ნივთთან მომსახურებასთან/ვაუჩერთან განთავსებული განცხადების/პირობების შინაარსთან (მის სიზუსტესთან/უტყუარობასთან/კანონთან შესაბამისობასთან და სხვა), მომსახურების, ნივთის ხარისხთან, მომსახურების გაწევისა და ნივთის გადაცემის ვადებთან/პირობებთან, ვაუჩერის (მათ შორი ელექტრონული ვაუჩერის) განაღდების ვადებთან და პირობებთან, გარანტიისა ან დაბრუნების პირობებთან, პარტნიორი კომპანიის მიერ ნივთთან/მომსახურებასთან/ვაუჩერთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულებასთან ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, რაც დაკავშირებულია ნივთთან/მომსახურებასთან ან/და ვაუჩერთან.
9.12.მომხმარებელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანხმობის გაცხადებით ცალსახად და უპირობოდ ადასტურებს, რომ უნიქარდთან 9.11. პუნქტში მოცემულ შემთხვევებზე პრეტენზია არ ექნება.
9.13. თუ ბარათის მფლობელის მიერ გადახდის ოპერაციის გაუქმებისა და პარტნიორი კომპანიის მიერ თანხის მომხმარებლისთვის დაბრუნების მომენტისთვის უნიქარდის ანგარიშზე არ აღმოჩნდება საკმარისი რაოდენობის ქულა, რომელიც წინამდებარე წესების 8.1. პუნქტის

„ზ “ქვეპუნქტის შესაბამისად ექვემდებარება ჩამოწერას, ამ შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია დაბლოკოს ბარათი ან განახორციელოს ანგარიშის უარყოფით ნაშთზე გადაყვანა.
9.14. ბარათით ჩატარებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია კომპანიაში ბარათის მფლობელად რეგისტრირებული პირი.

10. პერსონალური მონაცემების დამუშავება

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანხმობის გაცხადებით კომპანიას ავტომატურად ენიჭება უფლება მასზე რომ: :

10.1.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, ბარათის რეგისტრაციისა და უნიქარდის სერვისებით სრულყოფილი სარგებლობის მიზნით, მომხმარებლისგან მიიღოს და დაამუშავოს, მომხმარებლის პერსონალური მონაცემები, კერძოდ:

სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ტელეფონის ნომრი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელ ფოსტა, ფაქტობრივი მისამართი, ასევე ინფორმაცია უკანასკნელად განხორციელებული საბარათე ოპერაციების შესახებ (საბარათე ოპერაციის თარიღი, ადგილი, სავაჭრო /მომსახურების ობიექტი, თანხა ან/და სხვა დეტალები), იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი სარგებლობდა დაურეგისტრირებელი ბარათით.

10.1.2. მომხმარებლის სახელი, გვარი და უნიქარდის ბართზე დაგროვებული/დახარჯული ქულების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია პროგრამულად ხელმისაწვდომი გახადოს იმ პარტნიორი კომპანი(ებ)ისთვის, სადაც ხორციელდება უნიქარდის ქულების როგორც დაგროვების, ასევე დახარჯვის საბარათე ოპერაციები, მომხმარებლების მიერ ქულების დაგროვება/ დახარჯვის მიზნებისათვის.

10.1.3. კატალოგიდან შეკვეთილი ნივთის, მომსახურების მიღების ან თანხობრივი ელექტრონული ვაუჩერის განაღდების მიზნით, კომპანიამ მომხმარებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი ან მომხმარებლის მიერ მითითებული უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი, გადასცეს იმ კონკრეტულ პარტნიორ კომპანიებს და მესამე პირებს (რომლებიც ახორციელებენ მომხმარებლის მიერ შეკვეთილი ნივთის/ მომსახურების ან ვაუჩერში მოცემული ნივთის/მომსახურების რეალიზაციას) მომხმარებლის /უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ნივთის/მომსახურების/ვაუჩერში მოცემული ნივთის/მომსახურების გადაცემის მიზნებისათვის. *(მომხმარებელი აცნობიერებს, რომ მის მიერ კატალოგიდან შეკვეთილი ნივთის/მომსახურების/ვაუჩერის შეკვეთისას უფლებამოსილი პირის მითითების შემთხვევაში უფლებამოსილ პირს ენიჭება შეკვეთილი ნივთის/მომსახურების/ვაუჩერის გატანის უფლება. მომხმარებელი ცალსახად პასუხისმგებელია უფლებამოსილი პირის - სახელის, გვარის, პირადი ნომრის და ტელეფონის ნომრის მითითებამდე, ამავე პირისგან მიიღოს კანონის შესაბამისად გაცემული თანხმობა მისი მონაცემების კომპანიისთვის გადაცემისთვის (დამუშავებისათვის)).*

10.1.4. მომხმარებლის სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი გადასცეს საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შპს „ფეი უნიქარდს “(ს.კ.404519455) ერთობლივი ქო ბრენდ (CO BRAND) ბარათების მომხმარებლებისათვის შეთავაზების მიზნით.

10.1.5. პერიოდულად, შპს ფეი უნიქარდის პროგრამული მოთხოვნის შესაბამისად პროგრამულადვე გადასცეს შპს ფეი უნიქარდს მომხმარებლის სახელზე რეგისტრირებულ უნიქარდის ბარათზე დარიცხული ქულების მიმდინარე ბალანსი და ამონაწერი იმისათვის, რომ განხორციელდეს უნიქარდის ბარათის ანგარშის პროგრამული დაკავშირება შპს ფეი უნიქარდის მომხმარებლის პირად პროფილთან, შემდგომში მომხმარებლის მიერ შპს ფეი უნიქარდის პირადი ანგარიშიდან/პროფილიდან მაქსიმალურად მარტივად და მოსახერხებლად (ე.წ. ერთ ფანჯარაშივე) უნიქარდის ამონაწერის ამოღება/დათვალიერება ან/და უნიქარდის ქულების მიმდინარე ბალანსის ნახვის/დათვალიერების განსახორციელებლად.

10.6. კომპანია მიმართავს ტექნიკურ, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ღონისძიებებს რათა უზრუნველყოს მომხმარებლის რეგისტრირებული პერსონალური მონაცემების, ინტერესთა სფეროების და მომხმარებელთან დაკავშირებული სხვა მონაცემების კონფიდენციალურობა და დაცვა უნებართვო ან შემთხვევითი წვდომისგან, განადგურებისგან, მოდიფიცირებისგან, ბლოკირებისგან, კოპირებისგან, გავრცელებისგან და სხვა უკანონო ქმედებებისგან.

10.7. დეტალურად პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ მოცემულია კომპანიის ვებ გვერდზე განთავსებულ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში.

10. დავების გადაწყვეტა, გასაჩივრების წესი და მხარეთა კომუნიკაცია

10.1. მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, კომპანია უფლებამოსილია მომხმარებელთან კომუნიკაცია განახორციელოს მომხმარებლისთვის მისაღებ სხვა ენაზეც;

10.2.მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკებით ან კომპანიის შიდა გასაჩივრების პროცედურით (რაც მოცემულია ამავე მუხლში). შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3. მომხმარებელთა საჩივრების/პრეტენზიების მიღება ხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს 11:00 საათიდან 17:00 საათამდე შემდეგი საშუალებებით: სატელეფონო ცენტრთან დაკავშირებით (+995 32) 2 555–222, ელ-ფოსტით: **info@unicard.ge** , ან წერილობითი ფორმით;

10.4. მომხმარებელი უფლებამოსილია საჩივარს დამატებით დაურთოს შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი მტკიცებულების სახით. იმ შემთხვევაში თუ ფაქტობრივი გარემოებების მოკვლევისათვის აუცილებელი გახდება დამატებითი ინფორმაციის მოწოდება, კომპანიის შესაბამისი თანამშრომელი მომხმარებლისგან მოითხოვს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას/დაზუსტებას;

10.5. მომხმარებელთა საჩივრების/პრეტენზიების განხილვა განხორციელდება მისი წარდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კომპანია აღნიშნულ ვადაში განსაკუთრებული და ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში არ განახორციელებს აღნიშნული ვადის გაგრძელებას მაქსიმუმ 10 სამუშაო დღით მომხმარებლისათვის გაგზავნილი ან სხვაგვარად მიწოდებული (სმს, ელ ფოსტა ან სხვა არხები) შეტყობინების საფუძველზე.

10.6. მომხმარებლის მიერ კომპანიისთვის პირადად ან/და კურიერის/ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება უნიქარდის კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, უნიქარდის მიერ მომხმარებლისთვის მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

10.7.კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის კურიერის (მათ შორის, რეგისტრირებული ფოსტის ან/და კომპანიის მძღოლის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მომხმარებლისთვის ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებლის მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარების დღეს;

10.8.უნიქარდის მიერ მომხმარებლისთვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება გაგზავნილად/განხორციელებულად ჩაითვლება თუ იგი მხარეს ჩაბარდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მომხმარებელი თანხმობას აცხადებს, რომ კომპანიის მიერ ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მისთვის ჩაბარებულად ითვლება და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ აქვს.

10.9.უნიქარდის მიერ მომხმარებლისთვის ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლე ტექსტური შეტყობინების), ან/და უნიქარდის მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო უნიქარდის ვებ-გვერდზე /მობილურ აპლიკაციაში ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს;

10.10. მომხმარებლისთვის კომპანიის ნებისმიერი არხით (მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით, მომსახურების ცენტრით, საინფორმაციო/სატელეფონო ცენტრით, ვებ გვერდით, მობილური აპლიკაციით და სხვა) გადაცემული ნებისმიერი შეტყობინება ითვლება სათანადო ფორმის დაცვით, წერილობით შედგენილად და გადაცემულად, შესაბამისად ჩაითვლება ადრესატისათვის/მომხმარებლისათვის, იმავე სამართლებრივი შედეგის მატარებლად რაც ქაღალდის ფურცელზე კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით შედგენილი წერილობით შეტყობინება;

10.11. თუ მომხმარებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს უნიქარდს ან/და უშუალოდ, ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება მომხმარებელს მისამართზე არყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, უნიქარდის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

10.12. კომპანია უფლებამოსილია მომხმარებელთან კომუნიკაცია განახორციელოს სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, მომხმარებლისთვის განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) შესაძლოა, ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია უნიქარდის ანგარიშიდან ქულების გახარჯვის ან სხვა შესრულებული ოპერაციების შესახებ, კოდების მომხმარებლებისათვის მიწოდება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო ვალდებულებით (მაგალითად, კატალოგიდან შეკვეთილი ნივთთან დაკავშირებული შეტყობინება და სხვა), (გ) მარკეტინგულ ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შინაარსს.

10.13. კომპანია უფლებამოსილია ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შეცვალოს, ჩაანაცვლოს, მომხმარებელთან კომუნიკაციის არხ(ებ)ი ნებისმიერ დროს, მათ შორის და არა მხოლოდ -სატელეფონო ცენტრი ან/და მომსახურების პუნქტი ჩაანაცვლოს სხვა ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებით, ან დაამატონ ახალი საკომუნიკაციო არხები. ინფორმაცია განთავსდება ვებ გვერდზე.

11. ცვლილებები და დამატებები

11.1. კომპანია უფლებამოსილია მომხმარებლის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე შეცვალოს ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა.ამგვარი ცვლილება სავალდებულოა (ძალაში შედის) მომხმარებლისთვის დისტანციური მომსახურების ნებისმიერ არხში მისი გამოქვეყნების დღის მე–10 კალენდარული დღიდან, თუ კომპანიის მიერ ან/და კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
11.2. ცვლილება დამატებების გამოქვეყნებიდან, მისი ძალაში შესვლის მომენტამდე დროის პერიოდი წარმოადგენს მომხმარებლებისათვის წინასწარი შეტყობინების ვადას და ნებისმიერი ცვლილება/დამატება ჩაითვლება მომხმარებლებთან შეთანხმებულად, თუ მომხმარებელი ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს კომპანიას რომ არ ეთანხმება ცვლილებას/დამატებას.
11.3. კომპანია უფლებამოსილია პერიოდულად, ცვლილებების შესაბამისად განაახლოს წინამდებარე პირობების/ხელშეკრულების ტექსტი.
11.4. სპეციფიკური დანართები კომპანიის ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიხედვით არის მუდმივად ცვლადი/განახლებადი, რომლებიც ძალაში შედიან კომპანიის მიერ დისტანციური მომსახურების რომელიმე არხში მათი განთავსების მომენტიდან, მათზე არ ვრცელდება ამ ხელშეკრულებით წინასწარი შეტყობინების ვადა რაც განსაზღვრულია 11.2. პუნქტით.
11.5. კომპანიის მიერ მოწყობილი (მათ შორის პარტნიორ კომპანიებთან ერთობლივი) აქცია კამპანიები ძალაში შედის მათი დისტანციური მომსახურების რომელიმე არხში ან დისტანციური კომუნიკაციის არხებში განთავსების მომენტიდანვე და ძალაშია ამავე აქცია კამპანიის შინაარსით განსაზღვრული ვადით. კონკრეტულ აქციასთან/კამპანიასთან/პროექტთან დაკავშირებით კომპანიის მიერ განსაზღვრული პირობები არის ამ ხელშეკრულების არსებითი და განუყოფელი ნაწილი. აქცია/კამპანიის პირობებსა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებს და უპირატესია აქცია /კამპანიის პირობები.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულებისთვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა, ნაწილობრივი ან არასათანადოდ შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის პირდაპირი ზემოქმედებით და რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია მოცემულ პირობებში, კერძოდ, ეს მიზეზები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: სტიქიური უბედურებები, გაფიცვები, ლოკაუტები, მასობრივი არეულობები, საომარი მოქმედებები, ბლოკადა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედებები, პანდემია, ეპიდემია, კავშირგაბმულობის ქსელების გათიშვა ან შეფერხება (შემდგომში – „დაუძლეველი ძალის გარემოებები“).
12.2. კომპანიისთვის დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომისას კომპანია უფლებამოსილია მომხმარებლებისათვის შეტყობინება განათავსოს დისტანციური მომსახურების რომელიმე არხში შესაბამისი პირობებით და იმოქმედოს მის მიერ განსაზღვრული პირობებით, მათ შორის სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს მომსახურება დაუძლეველი ძალის გარემოებების აღმოფხვრამდე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია განუსაზღვრელი ვადით;
13.2. ძირითადი ბარათის მფლობელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ან/და გააუქმოს დამატებითი ბარათ(ებ)ი კომპანიისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
13.3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა ნიშნავს ძირითადი და დამატებითი ბარათების მოქმედების შეწყვეტას და ამ მომენტისათვის ძირითადი ბარათის ანგარიშზე დარიცხული ქულების გაუქმებას.
13.4. დამატებითი ბარათის მფლობელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს დამატებითი ბარათი კომპანიისათვის გაკეთებული წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;
13.5.კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მომხმარებლის შეტყობინებით თუ:
ა) თუ მომხმარებელი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, ან/და განზრახ აწვდის კომპანიას არასწორ ინფორმაციას ან/და არამართლზომიერად იყენებს ბარათს, ან მასთან დაკავშირებულ უფლებებს;
ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.